საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საგამოცდო კომისიის შესახებ

1. ზოგადი

1.1. მოცემული დებულება შემუშავებულია, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის "პროფესიონალი ბუღალტერის სტატუსის მინიჭების შესახებ" დებულებისა და სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საგამოცდო კომისიის შექმნის წესს, უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

1.2. საგამოცდო კომისიის პროფესიულ და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტის წარდგინებით ბაფის აღმასრულებელი დირექტორი.

1.3. საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, ან მისი წარდგინებით - კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.

1.4. კომისიის შემადგენლობა საკმარისი უნდა იყოს დადგენილ ვადაში სერტიფიცირების საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საგანში ცოდნის შესამოწმებლად.

1.5. სერტიფიცირების გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და შედეგების შეფასების მიზნით, მოიწვევა კონსულტანტები და ექსპერტები.

1.6. საგამოცდო კომისიის წევრთა უფლებამოსილება განისაზღვრება სერტიფიცირების დებულებით.

2. გამოცდების ჩატარება

2.1. გამოცდები ტარდება ქ. თბილისში წელიწადში ორჯერ: იანვარსა და ივლისში.

2.2. გამოცდების განრიგი და ჩატარების თარიღი წიგნების მიხედვით დგება და პრეტენდენტებს ეცნობება გამოცდამდე 3-4 თვით ადრე.

2.3. საგამოცდო კომისიამ პრეტენდენტი გამოცდაზე უნდა დაუშვას ბაფის წევრობის მოწმობის და პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ. მოწმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კანდიდატი გამოცდაზე არ დაიშვება.

2.4. ნაშრომების გასწორება და აუდიტი უნდა დასრულდეს გამოცდების დამთავრებიდან 20 დღის ვადაში. აუდიტს ექვემდებარება ნაშრომი, რომლის შეფასება მოექცევა 40-55 ქულიან ზღვარში.

2.5. წარმატებულად მიიჩნევა კანდიდატის ნაშრომი, რომელიც შესაძლო მაქსიმალური ქულიდან დაიმსახურებს მინიმუმ 50 პროცენტს.

3. საგამოცდო კომისიის უფლებები

საგამოცდო კომისია უფლებამოსილია:

3.1. შეიმუშაოს/შეცვალოს სერტიფიცირების გამოცდებზე საგამოცდო ტესტები, ქცევის წესები და შესაბამისი საგამოცდო უწყისები დასამტკიცებლად წარუდგინოს პროფესიული განათლების კომიტეტს.

3.2. საგამოცდო კომისია უფლებამოსილია, შემოსული განცხდებების საფუძველზე, გამოცდაზე გამომსვლელთა სიობრივი უწყისები დასამტკიცებლად წარუდგინოს პროფესიული განათლების კომიტეტს.

3.3. დამოუკიდებლად დაამუშაოს და პროფესიული განათლების კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინოს გამოცდების შედეგები.

3.4. არ დაუშვას გამოცდაზე/მოხსნას გამოცდიდან პირი, რომელმაც დაარღვია სერტიფიცირების დებულება ან გამოცდაზე ქცევის წესები.

4. საგამოცდო კომისიის ვალდებულებები

4.1. ორგანიზაცია გაუკეთოს გამოცდის სათანადოდ ჩატარების ტექნიკურ უზრუნველყოფას და ბაფის ხელმძღვანელობასთან ერთად შეადგინოს საგამოცდო ბიუჯეტი.

4.2. ყველა კანდიდატს გააცნოს გამოცდაზე ქცევის წესები, ჩაიბაროს მათგან ხელმოწერილი აღნიშნული წესები და განუხრელად ადევნოს თვალი მის შესრულებას, სპეციალურად მოწვეული დამკვირვებლების მეშვეობით.

4.3. უზრუნველყოს კანდიდატებისათვის საგამოცდო პროგრამის, გამოცდების შედეგების შეფასებისადმი ზოგადი მიდგომისა და გამსვლელი ქულების დროული გაცნობა.

4.4. უზრუნველყოს კვალიფიციური ტესტების შედგენა, გამრავლება და შენახვა, ნაშრომების დროული შეფასება და, შესაბამისი აუცილებლობის შემთხვევაში აუდიტის ჩატარება.

4.5. პრეტენდენტის თანდასწრებით გამოცდის დამთავრების შემდეგ დალუქოს და ჩაიბაროს ნაშრომი, მოახდინოს ნაშრომების კოდირება, შედეგები დაამუშაოს 20 დღის ვადაში და საგამოცდო უწყისის სახით დასამტკიცებლად წარუდგინოს პროფესიული განათლების კომიტეტს ასევე უზრუნველყოს მათი შენახვის პირობები.

4.6. საგამოცდო შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, დადგენილ ვადაში მიიღოს საჩივარი (გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში). საჩივრის განხილვა და ნაშრომის აუდიტი მოახდინოს საჩივრის ღირებულების გადახდიდან 5 დღის ვადაში.

4.7. გასაჩივრებული ნაშრომის, ჩატარებული აუდიტის მიხედვით, მოახდინოს ნაშრომის მიმოხილვის გაცნობა პრედენტენტისათვის, ხოლო სათანადო გადაწყვეტილება მიაწოდოს კომიტტეტს.

4.8. შემფასებელი პირების (სპეციალისტები, ექსპერტები) მხრიდან, უზრუნველყოს პრეტენდენტთა საგამოცდო ტესტებისა და პასუხების ყველა ეტაპზე კონფიდენციალობის დაცვა.

4.9. გამოცდაზე გამოსულთა სიობრივი მონაცემების საფუძველზე, განსაზღვროს ტესტირების შედეგები, აუდიტს დაქვემდებარებული ნაშრომები და საბოლოო შედეგები განსახილველად და დასამტკიცებლად გადასცეს ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტს.

4.10. სარეგისტრაციო კოდებისა და ნომრების მიხედვით, უზრუნველყოს შეფასებული ნაშრომების გამოქვეყნება (www.acca.trning.ge) ვებგვერდზე. შემდეგ გვარების მიხედვით შეიტანოს საგამოცდო ინფორმაცია თითოეული პრეტენდენტის პირად მონაცემთა ბაზაში.

5. საგამოცდო კომისიის წევრების პასუხისმგებლობა

5.1. საგამოცდო კომისიის დებულების დაცვა, შესაბამისად, დამოუკიდებლობისა და კონფინდენციალობის შენარჩუნება სავალდებულოა საგამოცდო კომისიის ყველა წევრისათვის.

5.2. საგამოცდო კომისიის დებულებისა და სერტიფიცირების დებულების ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევა განიხილება პროფესიული განათლების კომიტეტის სხდომაზე და შეიძლება გამოიწვიოს გაფრთხილება ან, უკიდურეს შემთხვევაში, კომისიის წევრობიდან გარიცხვა.

5.3. დაუშვებელია საგამოცდო კომისიის წევრობიდან გარიცხული წევრის შემდგომში საგამოცდო კომისიაში ჩართვა.

6. დებულების ძალაში შესვლა